ინფორმაცია

გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერია გარკვეულ სამუშაოებს ატარებს.

კერძოდ: ვახდენთ სოფლის მეურნეოის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება - აღრიცხვა ანალიზს. დაინტერესებულ პირებს ვუწევთ კონსულტაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (მიწის კატეგორია, საძოვრები და ა.შ.).

შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულების წარმომადგენლების, დეპუტატების ჩართულობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადების საფუძველზე ვახდენთ, მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა, ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის შედეგად ინფორმაციის დამუშავება, შესწავლას.

მოსაზრებები, ინფორმაციის გავრცელების ამსახველი ფოტომასალის და თანდართული დოკუმენტაციის შესახებ განთავსდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული https://mepa.gov.ge). სამსახურის ჩართულობით გარემოს ეროვნული სააგენტოს წარედგინა წინადადებები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

სამსახურმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრებთან“

თანამშრომლობით აქტიურად იყო ჩართული იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ „ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამაში“ – (GGP) რომლის ფარგლებშიც მომზადდა პროექტი, შედეგად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებშიც მიიღებს ახალ ფორდის მარკის ნაგავმზიდ მანქანას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **(GIZ) - ECO.Georgia**-ს პროექტის ერთობლივი და ნაყოფიერ თანამშრომლობის შედეგად, რომელიც შეიქმნა მწვანე ნარგაობის მართვისთვის საჭირო საკანონმდებლო თუ მეთოდური დოკუმენტების შემუშავების და ადამიანური რესურსის განვითარების მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელიც უკავშირდება მწვანე ნარგაობებით დაფარული ფართობების მართვას, მათ შორის აღსანიშნავია: 1. „ხეებით დაფარული ფართობების მართვის სახელმძღვანელო“, 2.

მწვანე ნარგაობის იდენტიფიცირება და დარუკება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და 3. სხვადასხვა სახის თემატური ტრენინგები.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს გარემოს დაცვა, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, რაც კლიმატის ცვლილების ფონზე გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად ჩვენი ინტერესია ამ მიმართულებით გამოცდილებისა და თანამშრომლობის გაზრდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით წარდგენილი გვაქვს პროექტი რომელიც ეხება მწვანე ნარგაობებით დაფარული სივრცის მართვას. პროექტის მთავარი მიზანია:
მწვანე ნარგაობით დაფარული ფართობის აღდგენა.
სარეკრეაციო ზონის მოწყობა.
არსებული შენობის აღჭურვა, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის.
ეკო-საგანმანათლებლო ვიზიტებისა თუ ლექციების ჩატარება.
მწვანე ნარგაობისთვის საბაზისო აღჭურვილობის შესყიდვა .

USAID-ის მიერ დაფინანსებული სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამა (SCRWM პროგრამა), „მერების შეთანხმება აღმოსავლეთით“ ოფისთან თანამშრომლობით, მონაწილეობა მივიღეთ ეროვნულ ღონისძიებაში - ..**მუნიციპალური წყლის რესურსების მართვის და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის წყალთან დაკავშირებული საკითხები“,** რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალურ დონეზე ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) მიღებას წყლის რესურსების მართვისთვის, კატასტროფების რისკის შემცირებისა და კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის.
„მერების შეთანხმება აღმოსავლეთით” პროექტის მიერ, შეთანხმების ხელმომწერი, სამოქმედო გეგმის მქონე საქართველოსა და აზერბეიჯანის 8 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სასწავლო ვიზიტით ვიმყოფებოდი მოლდოვაში, ვიზიტი ითვალისწინებდა სამოქმედო გეგემების მომზადებისა და ამ გეგმის წარმატებული განხორციელების მოლდოვური მაგალითების გაცნობას და საკუთარი გამოცდილების გაზიარებას.